

### კოლოკვიუმის ბილეთის ნიმუში (ენის ნაწილში):

1. მოცემულია მთელი რიცხვი. დაწერეთ პროგრამა, რომელიც შეამოწმებს, არის თუ არა ეს რიცხვი სამნიშნა. თუ სამნიშნაა, პროგრამა მას დაბეჭდავს შებრუნებული რიგით (მაგ., თუ იყო 431, დაიბეჭდება 134), თუ არაა სამნიშნა – დაბეჭდავს შესაბამის გზავნილს. ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ფაილში "sample.txt".

2. პროგრამა ითვლის და ბეჭდავს  $b$  ცვლადის მნიშვნელობას ფორმულით:

$$b = \begin{cases} 5a, & a < 3 \\ a - 4, & a > 3 \\ a, & a = 3 \end{cases}$$

აღმოაჩინეთ პროგრამაში დაშვებული შეცდომები

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
    a;
    cin>>a
    if(a=3) { b=a; cout<<"b="<<b<<"\n";}
    if (a>3) b=a*5; cout<<"b="<<b<<"\n";
    else {b=a-4; cout<<"b="<<b<<"\n";}
    system("pause")
    return 0;
}
```

**შენიშვნა:** ამ ტიპის ამოცანებში მხედველობაში გვაქვს სინტაქსური შენიშვნები. მხედველობაში იქონიეთ, რომ რამდენიმე ერთნაირი შეცდომა გამსწორებლის მიერ აღირიცხება როგორც ერთი შეცდომა.

3. დაწერეთ პროგრამა, რომელიც რამდენიმე მთელ რიცხვის ჩაწერს შესაბამის ვექტორში. შემდეგ დაბეჭდავს ამ რიცხვებს, და თითოეულ ამ რიცხვთან ერთად აგრეთვე დაბეჭდავს მის კუბს, აბსოლუტურ მნიშვნელობას, და ფესვს აბსოლუტური მნიშვნელობიდან. იზრუნეთ, რომ ბეჭდვის ფორმატი იყოს მაქსიმალურად მოხერხებული.

**ყურადღება:** გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბილეთებში შესაძლოა იყოს ორი უზუსტობა. მესამე ამოცანაში, თუ შეგხვდებათ ფრაზა "...შვიდობით ანბანში ჩაწერილი რიცხვი 1267 ", უნდა ეწეროს "...შვიდობით ანბანში ჩაწერილი რიცხვი 12637", და აგრეთვე მესამე ამოცანაში, თუ შეგხვდებათ ფრაზა "...სამობით ანბანში ჩაწერილი რიცხვი 1203", უნდა ეწეროს "...სამობით ანბანში ჩაწერილი რიცხვი 12013", ანუ მოცემულ რიცხვს აუცილებლად უნდა ეწეროს თვლის სისტემის ფუძე.

ამოცანები გასწორდება ამ მონაცემებით. რიცხვები უმნიშვნელოდ განსხვავდება და, სავარაუდოდ, მათი დამახსოვრება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.